

# სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №68  
2014 წლის 26 დეკემბერი

ქ. სენაკი

## „სენაკის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). 30/12/2013 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.108.016135) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) შემცირდეს სენაკის მუნიციპალიტეტის შემოსულობების „მუხლი“ 101,586 ათ.ლარით და ის ადრე დამტკიცებული 10710,834 ათ. ლარის ნაცვლად განისაზღვროს 10609,248 ათ.ლარით;

ბ) შემცირდეს ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ასიგნება (კოდი 03 00) - 101,586 ათ.ლარით, კერძოდ, გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ასიგნება (კოდი 03 01) - 101,586 ათ.ლარით.

### მუხლი 2

დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

### მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ხვიჩა ჟიშკარიანი

დანართი

## სენაკის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი თავი I

### სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

#### მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსავლები	10217,5	12235,0	6217,3	6017,7	10295,476	3147,918	7147,558
გადასახადები	916,5	990,2	0,0	990,2	1167,794	0,000	1167,794
გრანტები	8676,6	10210,6	6217,3	3993,3	8041,218	3147,918	4893,300
სხვა შემოსავლები	624,3	1034,2	0,0	1034,2	1086,5	0,0	1086,5
ხარჯები	4741,9	6063,3	627,1	5436,2	7068,993	65,416	7003,577
შრომის ანაზღაურება	1242,0	1883,3	0,0	1883,3	2069,838	0,000	2069,838
საქონელი და მომსახურება	775,5	604,0	0,0	604,0	991,817	0,000	991,817
სუბსიდიები	2330,7	2668,6	73,6	2595,0	3559,222	0,000	3559,222
სოციალური უზრუნველყოფა	393,7	895,7	553,5	342,2	448,116	65,416	382,700
სხვა ხარჯები	0,0	11,7	0,0	11,7	0,000	0,000	0,000
საოპერაციო სალდო	5475,6	6171,7	5590,2	581,5	3226,5	3082,5	144,0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5723,1	5684,2	5320,4	363,8	3502,338	3147,918	354,420
ზრდა	5773,7	5697,4	5320,4	377,0	3540,255	3147,918	392,337
კლება	50,6	13,2	0,0	13,2	37,917	0,000	37,917
ფინანსური აქტივების ცვლილება	-247,5	487,5	269,8	217,7	-217,060	-65,416	-151,644
ზრდა	170,0	487,5	269,8	217,7	0,000	0,000	0,000
ვალუტა და დეპოზიტები	170,0	487,5	269,8	217,7	0,0	0,0	0,0
კლება	417,5	0,0	0,0	0,0	217,060	65,416	151,644
ვალუტა და დეპოზიტები	417,5	0,0			217,060	65,416	151,644
ვალდებულებების ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	10,439	0,000	10,439
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	10,439	0,000	10,439
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	10,439	0,000	10,439
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,00	0,00	0,00



**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**  
 განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10679,2	12248,2	6217,3	6030,9	10609,248	3213,334	7395,914
შემოსავლები	10217,5	12235,0	6217,3	6017,7	10295,476	3147,918	7147,558
არაფინანსური აქტივების კლება	50,6	13,2	0,0	13,2	37,917	0,000	37,917
ფინანსური აქტივების კლება	411,1	0,0	0,0	0,0	265,416	65,416	200,000
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	10,439	0,000	10,439
გადასახდელები	10679,2	11760,7	5947,5	5813,2	10609,248	3213,334	7395,914
ხარჯები	4905,5	6063,3	627,1	5436,2	7068,993	65,416	7003,577
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5773,7	5697,4	5320,4	377,0	3540,255	3147,918	392,337
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

**მუხლი 3. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**  
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 10295,476 ათ.ლარის ოდენობით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10217,5	12235,0	6217,3	6017,7	10295,476	3147,918	7147,558
გადასახდელები	916,5	990,2	0,0	990,2	1147,394	0,000	1147,394



გრანტები	8676,6	10210,6	6217,3	3993,3	8041,218	3147,918	4893,300
სხვა შემოსავლები	624,3	1034,2	0,0	1034,2	1106,864	0,000	1106,864

#### მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1167,794 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	916,5	990,2	0,0	990,2	1167,794	0,000	1167,794
ქონების გადასახადი	916,5	990,2	0,0	990,2	1167,794	0,000	1167,794
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	497,7	562,0		562,0	735,900		735,900
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	0,0			0,000		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	53,3	9,4	0,0	9,4	8,130	0,000	8,130
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	50,2	3,3		3,3	2,130		2,130
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	3,0	6,2		6,2	6,000		6,000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	231,0	265,7	0,0	265,7	261,650	0,000	261,650
ფიზიკურ პირებიდან	132,6	150,9		150,9	156,964		156,964
იურიდიულ პირებიდან	98,3	114,8		114,8	104,686		104,686
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	134,6	152,7	0,0	152,7	162,114	0,000	162,114
ფიზიკურ პირებიდან	22,0	19,6		19,6	16,838		16,838
იურიდიულ პირებიდან	112,6	133,1		133,1	145,276		145,276
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,3		0,3	0,000		



სხვა გადასახადები	0,0	0,0			0,000		
-------------------	-----	-----	--	--	-------	--	--

### მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 8041,218 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	8676,6	10210,6	6217,3	3993,3	8041,218	3147,918	4893,300
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0,0	262,5	262,5		0,000	0,000	
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8676,6	9948,1	5954,8	3993,3	8041,218	3147,918	4893,300
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3244,4	3993,3	0,0	3993,3	4893,300	0,000	4893,300
გათანაბრებითი ტრანსფერი	3059,4	3808,8		3808,8	4698,300		4698,300
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	185,0	184,6		184,6	195,000		195,000
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5432,2	5954,8	5954,8	0,0	3147,918	3147,918	0,000
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	3983,7	5302,7	5302,7		2155,898	2155,898	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	665,8	652,0	652,0		675,020	675,020	
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	0,0	0,0			0,000		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	37,5	0,0			317,000	317,000	



## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1086,464 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	624,3	1034,2	0,0	1034,2	1086,464	0,000	1086,464
შემოსავლები საკუთრებიდან	145,3	85,9	0,0	85,9	52,939	0,000	52,939
პროცენტები	0,0	0,0			0,000		
დივიდენდები	20,0	0,0			0,000		
რენტა	125,3	85,9	0,0	85,9	52,939	0,000	52,939
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	116,9	78,3		78,3	45,817		45,817
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავენობა და სხვა) გადაცემიდან	8,4	7,6		7,6	7,122		7,122
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0,0	0,0			0,000		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	159,5	59,4	0,0	59,4	166,545	0,000	166,545
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	151,5	50,3	0,0	50,3	159,314	0,000	159,314
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0,0	0,0			0,000		
სანებართვო მოსაკრებელი	14,3	9,3		9,3	40,403		40,403
სახელმწიფო ბაჟი	0,0	0,0			0,000		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,0			0,000		



სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,2	0,0			0,400		0,400
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	113,6	13,5		13,5	90,500		90,500
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	22,9	24,1		24,1	27,386		27,386
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,4	3,3		3,3	0,625		0,625
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	8,0	9,1	0,0	9,1	7,231	0,000	7,231
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0	0,0		0,0	0,000		0,000
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	8,0	9,1		9,1	7,231		7,231
ჯარიმები, სანქციები და საურავები	249,5	863,0		863,0	817,114		817,114
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0			0,000		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	70,0	26,0		26,0	49,866		49,866

### მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7068,993 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2014 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	4741,9	6063,3	627,1	5436,2	7068,993	65,416	7003,577
შრომის ანაზღაურება	1242,0	1883,3	0,0	1883,3	2069,838	0,000	2069,838
საქონელი და მომსახურება	775,5	604,0	0,0	604,0	991,817	0,000	991,817
სუბსიდიები	2330,7	2668,6	73,6	2595,0	3559,222	0,000	3559,222



სოციალური უზრუნველყოფა	393,7	895,7	553,5	342,2	448,116	65,416	382,700
სხვა ხარჯები	0,0	11,7	0,0	11,7	0,000	0,000	0,000

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3540,255 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3540,255 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	58,7	73,2	0,0	73,2	150,087	0,000	150,087
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	62,0	208,6	0,0	208,6	3,200	0,000	3,200
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5368,5	5399,5	5320,4	79,1	3350,268	3139,318	210,950
04 00	განათლება	60,0	5,0	0,0	5,0	25,600	8,600	17,000
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	224,6	11,0	0,0	11,0	11,100	0,000	11,100

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 37,917 ათასი ლარი

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის პროგნოზი
არაფინანსური აქტივების კლება	50.6	13.2	37.917
ძირითადი აქტივები	50.6	0.0	0.000
არაწარმოებული აქტივები	0.0	13.2	37.917
მიწა	0.0	13.2	37.917





**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1596,7	2164,9	0,0	2164,9	2706,5	0,0	2706,5
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1561,9	2137,3	0,0	2137,3	2662,5	0,0	2662,5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1557,4	2137,3	0,0	2137,3	2635,4	0,0	2635,4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	4,5	0,0	0,0	0,0	27,1	0,0	27,1
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	32,8	27,6	0,0	27,6	44,0	0,0	44,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	32,8	27,6	0,0	27,6	44,0	0,0	44,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	2,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
702	თავდაცვა	80,9	95,5	0,0	95,5	106,2	0,0	106,2
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	401,4	527,7	0,0	527,7	404,3	0,0	404,3
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	142,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	258,8	527,7	0,0	527,7	404,3	0,0	404,3
704	ეკონომიკური საქმიანობა	4922,3	5202,0	5152,2	49,8	3332,0	3124,0	208,0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	20,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70421	სოფლის მეურნეობა	20,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	4069,5	2305,7	2296,2	9,4	2209,9	2132,0	78,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4069,5	2305,7	2296,2	9,4	2209,9	2132,0	78,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	832,8	2896,3	2856,0	40,4	1122,0	992,0	130,0
705	გარემოს დაცვა	828,7	1234,3	614,3	620,0	772,0	0,0	772,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	586,0	620,0	0,0	620,0	772,0	0,0	772,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	242,7	614,3	614,3	0,0	0,0	0,0	0,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	269,9	143,6	107,4	36,2	25,3	15,3	10,0
7061	ბინათმშენებლობა	124,2	62,1	32,8	29,3	8,4	8,4	0,0
7063	წყალმომარაგება	30,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7064	გარე განათება	105,0	74,6	74,6	0,0	6,9	6,9	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო- კომუნალურ მეურნეობაში	10,1	6,9	0,0	6,9	10,0	0,0	10,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	93,0	94,0	0,0	94,0	113,4	0,0	113,4
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	93,0	94,0	0,0	94,0	113,4	0,0	113,4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1143,8	1019,0	0,0	1019,0	1336,5	0,0	1336,5



7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	545,1	384,6	0,0	384,6	518,0	0,0	518,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	533,4	560,0	0,0	560,0	653,1	0,0	653,1
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	65,4	74,4	0,0	74,4	165,4	0,0	165,4
709	განათლება	730,2	789,4	73,6	715,8	1217,0	8,6	1208,4
7091	სკოლამდელი აღზრდა	650,6	692,4	73,6	618,8	1074,1	0,7	1073,4
7092	ზოგადი განათლება	8,2	26,0	0,0	26,0	57,900	7,900	50,000
70923	საშუალო ზოგადი განათლება	8,2	26,0	0,0	26,0	57,900	7,900	50,000
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	71,4	71,0	0,0	71,0	85,000	0,000	85,000
710	სოციალური დაცვა	612,3	490,2	0,0	490,2	596,116	65,416	530,700
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	148,0	148,0	0,0	148,0	148,000	0,000	148,000
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	148,0	148,0	0,0	148,0	148,000	0,000	148,000
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	180,4	185,8	0,0	185,8	180,000	0,000	180,000
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	23,4	22,4	0,0	22,4	33,500	0,000	33,500
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	37,8	45,1	0,0	45,1	47,600	0,000	47,600
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	222,7	89,0	0,0	89,0	187,016	65,416	121,600
	სულ	10679,2	11760,7	5947,5	5813,2	10609,248	3213,334	7395,914



## მუხლი 10. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო არის 0 .

## მუხლი 11. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 217,060 ათ.ლარით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 217,060

## მუხლი 12. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 10,439

## მუხლი 13. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 27,050 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

## მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 195,0 ათასი ლარი მიიმართოს:
  - ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 113,4 ათასი ლარი;
  - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ და საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 71,6 ათასი ლარი;
  - გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 10,0 ათასი ლარი.
2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

## მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II

### სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

## მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მიწისძვრის, სახანძრო და სხვა სტიქიური შემთხვევების პრევენციის მიზნით დაგეგმილია სამსახურის პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა, კომუნალური პირობების გაუმჯობესება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის სენაკის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1. საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და სხვა ბუნებრივი და



ტექნოლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურებები) სალიკვიდაციოდ პრევენციის მიზნით აუცილებელია სამსახურის პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა, ხანძრის ჩაქრობის და სამაშველო ღონისძიებების ორგანიზებისას აუცილებელია პირადი შემადგენლობის ტექნიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფა, სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის შენობის და კომუნალური პირობების გაუმჯობესება.

## **1.2 საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)**

სენაკის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, აგრეთვე საგზაო უსაფრთხოების ამოცანათა განხორციელება ბოლო წლებში ინტენსიურად ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ. მუნიციპალიტეტი შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ხელშეწყობას, რაც გამოიხატება კომუნალური ხარჯების ანაზღაურებაში.

## **1.3 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის სენაკის მუნიციპალიტეტში ხორციელდება გაწვევის პუნქტებამდე წვევამძღვლების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

## **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: მუნიციპალური გზების და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, სკვერების, პარკების, გამწვანების ობიექტების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ჩატარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოწყობა სპორტული მოედნები, დაფინანსდება ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები.

## **2.1 გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში რეაბილიტრებული იქნება ძირითადი გზები, ასფალტო-ბეტონის საფარი დაიგება ქალაქის ქუჩებში, მოიხრიშება და მოწესრიგდება თემების/სოფლის შიდა საუბნო გზები.

## **2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და განხორციელდება უმეტვალყოფიეროდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია.

### **2.2.1. კეთილმოწყობის, დასუფთავების და გამწვანების მოვლა-პატრონობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, როგორც საცხოვრებელი სახლების ეზოებიდან ასევე ქალაქის სხვა ტერიტორიიდან. აგრეთვე გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების ადდგენა, სკვერების პარკებისა და გამწვანების ობიექტების რეაბილიტაცია. შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება და სხვა ღონისძიებები.

### **2.2.2 უმეტვალყოფიეროდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

## **2.3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა თემში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარდგენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას, კერძოდ აგროტექნიკის შეძენა, გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა, სასაფლაოების შემოღობვა, საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების, სპორტული მიწის და საბავშვო მოედნების მოწყობა და სხვა



## 2.4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

## 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერ განვითარებას ხელ უწყობს ა.ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“ რომელიც ფინანსდება სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

### 3.1. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს მის ფიზიკურ, გონებრივ და ესთეტიკურ განვითარებას. აქედან გამომდინარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს განსაკუთრებული როლი ეკისრება ბავშვის განვითარებაში. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი სწორედ საბავშვო ბაღებში ხდება. აქ ეყრება საფუძველი მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და მის სკოლამდელ აღზრდას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1193 ბავშვი. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს. ბაღებს კოორდინაციას უწევს ა.ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება“.

### 3.2. საჯარო სკოლების პედაგოგებზე და მოსწავლეებზე დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქიდან თემში და თემიდან ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მასწავლებელთა სუბსიდირება. ამასთან, მოსწავლეები, რომლებიც შორს ცხოვრობენ სკოლიდან სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით უფასოდ, კერძოდ, თემებში მცხოვრები მოსწავლეები.

### 3.3. მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო - აღზრდითი პროცესების და მასობრივი მუშაობის საინფორმაციო მეთოდური უზრუნველყოფა. ტარდება სასწავლო შემოქმედებითი კომფერენციები, სხვადასხვა სახის შეკრებები, ნორჩ ფოლკლორისტთა, ენის მოყვარულთა, შემოქმედთა, ტექნიკური ცოდნის მიდრეკილთა და მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოსავლენად და მათი ტექნიკური ცოდნის ასამაღლებლად დანერგილია კომპიუტერის სწავლების ჯგუფები. მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ მათემატიკური, კომპიუტერული ტექნიკის სასწავლო შეკრებებში. ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების სწავლების ჯგუფები, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სკოლებში შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენას, ხელს უწყობს მოსწავლეებში რედაქტორობის პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას. თავის ირგვლივ იკრებს ჟურნალისტიკით, საგაზეთო, საგამომცემლო საქმით დაინტერესებულ მოსწავლეებს. ტარდება შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, პოეზიის სადამოები, ნორჩ შემოქმედთა შეკრებები. მოსწავლეთა ესტეტიკური აღზრდის მიზნით ტარდება ქორეოგრაფიული და ლიტერატურული ხელოვნების ფესტივალები, საქველმოქმედო საქმიანობა. ფასიან ჯგუფებში მშობელთა შენატანი ქართული და სამეჯლისო ცეკვების, ხალხური და საესტრადო სიმღერების შესასწავლად ყოველთვიურად ერთ ბავშვზე შეადგენს 15 ლარს, კომპიუტერული სწავლების ჯგუფში სამთვიანი კურსისთვის კი ერთ მოსწავლეზე 60 ლარს. მოსწავლეთა რაოდენობა სულ შეადგენს 249 აღსაზრდელს.

## 4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეუწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

### 4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

#### 4.1.1. სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)

